GREEN CLIMATE FUND

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

# ტყის მდგრადი მართვა

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სოფლის განვითარების სააგენტო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

წინამდებარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისთვის ცნობიერების დონის ამაღლებას ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების შესაძლებლობებისა და ტყის მდგრადი მართვის შესახებ.

საინფორმაციო მასალა შემუშავებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირების მიზნით (ECO.Georgia)". პროექტი „ECO.Georgia" ერთობლივად ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ.

სურათების წყარო - freepik.com

# სარჩევი


**შესავალი** ..... 2

ტყე და მისი მნიშვნელობა ..... 2

**ტყის მდგრადი მართვის განვითარების ისტორია** ..... 3

**საერთაშორისო დონეზე აღიარებული ასპექტები და პრინციპები** ..... 5

**საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტყის მდგრადი მართვის პრინციპები** ..... 8

საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია ..... 8

საქართველოს ტყის კოდექსი ..... 10

საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები ..... 12

# შესავალი

## ტყე და მისი მნიშვნელობა

ტყის ეკოსისტემები პლანეტის ბიომრავალფეროვნების ⅔-ს შეადგენს და სხვა ეკოსისტემებთან შედარებით ყველაზე მდიდარ არეებს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ტყე განახლებადი/აღდგენადი რესურსია, სამწუხაროდ, იგი მუდმივად მცირდება. ტყის შემცირებას დიდწილად განაპირობებს ურბანულ-ეკონომიკური განვითარება და გლობალური კლიმატის ცვლილება, რაც მეტ წილად ასევე ანთროპოგენური ზეგავლენითაა გამოწვეული (Badea, 2013).

ტყე საქართველოსთვის განსაკუთრებული ფასეულობის ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს. ტყის ეროვნული აღრიცხვის შედეგების მიხედვით, ქვეყნის ტერიტორიის 44.5% (3 100 500 ჰა) ტყითაა დაფარული და საქართველო განეკუთვნება ტყით მდიდარი ქვეყნების რიცხვს. ტყეების უმეტესობა საშუალო და მაღალი დაქანების ფერდობებზეა განლაგებული და ასრულებენ მნიშვნელოვან ნიადაგდაცვით, წყალმარეგულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა დაცვით ფუნქციებს. გარდა ამისა, დიდ და მცირე კავკასიონზე შემორჩენილ ტყის მასივებს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ისინი ზომიერ კლიმატურ სარტყელში შემორჩენილ, უკანასკნელ ხელუხლებელ/ნაკლებად სახეცვლილ ტყეებს წარმოადგენენ.

ტყე ასუფთავებს ჰაერს, არეგულირებს წყლის ნაკადებს და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სუფთა წყლით უზრუნველყოფს. იგი იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, ამცირებს მეწყერის, ზვავისა და ღვარცოფის განვითარების რისკებს და არბილებს მათ ზემოქმედებას, დადებითად მოქმედებს ჰაერის მასების მოძრაობასა და ტემპერატურის რეგულირებაზე. ატმოსფეროდან ნახშირბადის შთანთქმით, ასევე ტყის ბიომასასა და ნიადაგში მისი შეკავებით ტყე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციაში.

საქართველოს ტყე არა მხოლოდ უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას განაპირობებს, არამედ უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, პირდაპირ თუ არაპირდაპირ სარგებელს, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების უწყვეტ მიწოდებას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირებას, აუმჯობესებს მოსახლეობის კეთილდღეობას და ხელსაყრელ გარემოს ქმნის ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტყეს უდიდესი ესთეტიკური და რეკრეაციული, ამასთანავე, სამეცნიერო, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობაც გააჩნია.

ტყის მრავალფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაბალანსებული მართვა ტყის მდგრადი მართვის პრინციპების გათვალისწინებით.

# ტყის მდგრადი მართვის განვითარების ისტორია

დღესდღეობით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროცესები, რომლებიც ეხება ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს, მათ შორის, გაეროს ტყეების ფორუმი (UNFF), „ევროპის ტყე" (Forest Europe – MCPFE), მონრეალის პროცესი (The Montreal Process – DAFF) და სხვა.

1990-იანი წლების დასაწყისიდან არაერთი საერთაშორისო ინიციატივა იღებს სათავეს, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის და აყალიბებს ტყის მართვის სტანდარტებს. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ამოცანები (ევროპის ტყე 2011, EC 2011) რომლებიც მიღებული იყო რიოში 1992 წელს, ეხმიანება ყველა საერთაშორისო ინიციატივას ტყის შესახებ. ტყის მართვაში ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებას და მისი სერვისების თანაბარი მნიშვნელობით გამოყენებას მსოფლიო მასშტაბით სატყეო პოლიტიკის არაერთი პროცესი შეეხო, მათ შორის ისეთი ინიციატივები, როგორებიცაა „ევროპის ტყის" პან-ევროპული პროცესი ჰელსინკში 1993 წელს (წარმოადგენს მაღალი დონის სატყეო პოლიტიკის პროცესს და აერთიანებს ევროპის 45 ქვეყანას), ევროკავშირის „ევროპის 2010 წლის ბიომრავალფეროვნების გამარტივებული ინდიკატორების" (EU Streamlining European Biodiversity Indicators 2010 - SEBI) პროექტი 2005 წელს და ევროკავშირის 2020 წლის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია. „ევროპის ტყის" პროცესი ლიდერობს პან-ევროპული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებაში, რომელიც ეყრდნობა ტყის მდგრადი მართვის კონცეფციას. „ევროპის ტყე" იყენებს მდგრადობის უფრო ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს.

დღესდღეობით, „ევროპის ტყის" კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ნაკრები გამოყენებულია 46 ევროპული ქვეყნის მიერ ტყის მდგრადი მართვის შესაფასებლად, ტყის ბიომრავალფეროვნების ჩათვლით. „ევროპის ტყის" ინდიკატორები დაყოფილია ორ კატეგორიად: 1) ხარისხობრივი ინდიკატორები ზოგადი პოლიტიკისა და სპეციფიკური  პოლიტიკური ინსტრუმენტების შესახებ 2) 35 რაოდენობრივი ინდიკატორი,  რომელიც  6 კრიტერიუმშია განაწილებული (ტყის რესურსები, სიჯანსაღე და სიცოცხლისუნარიანობა, პროდუქტიულობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნება, დაცვითი ფუნქციები და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები) და წარმოადგენს თვლად პარამეტრებს ან სხვა მონაცემებს, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია ქვეყნის ტყის ეროვნულ ინვენტარიზაციაზე ან სხვა სტატისტიკურ წყაროებზე (Parviainen and Västilä 2011).

"ევროპის ტყეების" დაცვის შესახებ მინისტრთა კონფერენციის ("ევროპის ტყეები") მიერ მიღებული განსაზღვრების თანახმად, ტყის მდგრადი მართვა ნიშნავს შემდეგს: "ტყეებისა და სატყეო მიწების მართვა და გამოყენება ისეთი გზითა და მოცულობით, რომ შენარჩუნებულ იქნას მათი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, განახლების უნარი, სიცოცხლისუნარიანობა და მათი პოტენციალი, ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ

დონეებზე, ისე რომ ამან არ გამოიწვიოს სხვა ეკოსისტემების დაზიანება".

უფრო მარტივად, კონცეფცია შეიძლება აიხსნას, როგორც ბალანსი ტყის პროდუქტებისა და მიღებული სარგებლის მიმართ საზოგადოების მზარდ მოთხოვნებსა და ტყის სიჯანსაღისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შორის. ამ ბალანსის დაცვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ტყის გადარჩენისთვის და ტყეზე დამოკიდებული სოფლის თემების კეთილდღეობისთვის. ტყის მმართველებისთვის ეს ნიშნავს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული ტყე დღეს, რომ მომავალში მისგან უზრუნველყოფილი იყოს იგივე სარგებლის მიღება, ტყის სიჯანსაღისა და პროდუქტიულობის შენარჩუნება.

ტყის მდგრადი მართვის პრინციპები ასევე შეთანხმებულია სხვადასხვა ინიციატივის ფარგლებში და განმარტებულია შემდეგნაირად: პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებულ შემდეგ დასკვნით დოკუმენტებში: „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაცია", „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამა – დღის წესრიგი 21", „ტყის დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადება".

## საერთაშორისო დონეზე აღიარებული ასპექტები და პრინციპები

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სატყეო მართვის სისტემები გარკვეულწილად რეაგირებდა ისეთი პროცესების მიმართ როგორებიცაა, ეკონომიკური განვითარება ან/და სოციალური მოთხოვნები და საჭიროებები, შესაბამისად, განიცდიდა ცვლილებებს. დღეის მდგომარეობით, ტყის მართვის სისტემამ სულ მცირე პოლიტიკურ და სტრატეგიულ დოკუმენტებში დეკლარირებულ დონეზე განიცადა გარკვეული პროგრესი. წარსულში ტყის მართვის მთავარ და უპირატეს ამოცანას ტყის პროდუქტიულობის ზრდა და მერქნული რესურსის ათვისებით მისი ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენდა, დღეისათვის, მსგავსი მიდგომები იცვლება  სატყეო მეურნეობის ისეთი სისტემების ჩამოყალიბებით, რომელიც საშუალებას იძლევა მრავალი სახის ეკოსისტემური სერვისი რაციონალურად და თანაბარი მნიშვნელობით იქნას გამოყენებული, ხოლო ამის განმაპირობებელი მიზეზებია, რეგიონებში ტყის სერვისებზე მოთხოვნილების შეცვლა, სოციალური და ეკოლოგიური გარემოებების გათვალისწინებით (Wagner et al. 2013).

ტყის მართვის სისტემები მუდმივად განახლებადია და დამოკიდებულია ისეთ გლობალურ პროცესებზე, როგორებიცაა: თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება და ინტეგრირება ტყის მართვაში, კლიმატის ცვლილება და მისი ეფექტები, სოციო-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინება და რაც მთავარია, ტყის მართვაში ეკოლოგიური ასპექტების ასახვა. მოცემული ასპექტების გათვალისწინება ტყის მართვის სისტემას მეტად კომპლექსურს ხდის.

ტყის მართვას დამატებით კომპლექსურობას სძენს ტყის კორომებში არსებული ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და მისი მდგრადი განვითარება. 1990-იანი წლების დასაწყისში პოპულარული გახდა ტერმინი ბიომრავალფეროვნება, რის შემდეგაც, ის საკვანძო ცნებად და გასათვალისწინებელ ელემენტად იქცა კვლევებში, კონფერენციებში, საერთაშორისო და ეროვნულ სტრატეგიებში, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვაში და ზოგადად, საზოგადოებაში. პირველად გლობალურ დონეზე ტერმინი გამოიყენეს რიო-დე-ჟანეიროში, ბრაზილიაში 1992 წელს გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე (UNCED) და შემდეგ "ევროპის ტყეების" დაცვის მინისტრთა კონფერენციებზე („ევროპის ტყეები") ჰელსინკსა (1993) და ლისაბონში (1998). ამის შემდეგ ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა მჭიდროდ დაუკავშირდა ტყის მდგრად მართვას (Kraus, Krumm 2013). ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება, ტყის დაცვა და მონიტორინგი თანაბრად მნიშვნელოვან და განუყოფელ ასპექტად იქნა მიჩნეული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თვალსაზრისით.

ტყეების მართვა არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია ადგილმდებარეობის ტიპზე და მის მდგომარეობაზე, ქვეყნის მიერ დეკლარირებულ სტრატეგიებსა და რეგულაციებზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. ასევე, სატყეო საქმის სპეციალისტებში არაერთგვაროვანია ტყის მდგრადი მართვის აღქმა და ინტერპრეტაცია, სწორედ მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კონსესუსის შედეგად განსაზღვრულიყო ტყის მდგრადი მართვის განმარტება.

"ევროპის ტყეების" კონფერენციის მიერ მიღებული განმარტების თანახმად, ტყის მდგრადი მართვა განისაზღვრა შემდეგი ფორმულირებით: „ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების ისეთი მეთოდებით მოვლა და გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს თავისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ისე, რომ მათ ახლაც და მომავალშიც შეასრულონ შესაბამისი ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე სხვა ეკოსისტემებზე ზიანის მიყენების გარეშე".

მიუხედავად განმარტებებისა, ფაქტია, რომ ტყეების მდგრადი მართვის პრაქტიკაში დანერგვა და განხორციელება უფრო მეტ ძალისხმევასა და კონკრეტიკას საჭიროებს, რაც გულისხმობს კონკრეტული ტყიანი ფართობების შესაბამის კვლევებზე წარმოებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომებს. აღნიშნულ კონტექსტში, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულია, სატყეო მეურნეობის საუკეთესო მართვის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ინფორმირებულ, კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას, რამეთუ ტყის ეკოსისტემა წარმოადგენს მუდმივად განვითარებად ცოცხალ ორგანიზმს, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი.

ტყეზე არსებული ანთროპოგენული და ბუნებრივი ზემოქმედების, ადგილსამყოფლის ტიპისა და ტყის დინამიკის შეფასება არის ეკოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის საფუძველი, როგორიცაა: ეკოლოგიური მეტყევეობა, ბუნებრივთან მიახლოებული სატყეო მეურნეობა, ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მართვა და სხვა (Kraus, Krumm 2013). შესაბამისად, ტყის

ბუნებრივი განვითარებისა და ბუნებრივობის მონაცემების ცოდნა იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, როგორც კვლევებისთვის, ისე ტყის მართვის რეჟიმებისა და კონსერვაციის მიზნების იდენტიფიკაციისთვის. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, სატყეო-სამეურნეო სისტემების მართვის ოპტიმალური მხარეების სათანადოდ შეფასება, ისევე როგორც მათი შესაძლო ადაპტაცია მრავალფუნქციურ მეტყევეობასთან.

# საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტყის მდგრადი მართვის პრინციპები

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ეროვნული სატყეო კონცეფციით აიღო ვალდებულება, ჩამოაყალიბოს ტყის მდგრადი მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას ეკოლოგიური ღირებულებების გათვალისწინებით, საზოგადოების ჩართულობას ტყის მართვაში და მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას.

2014 წლის ივლისში ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენს „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“. აღნიშნული შეთანხმების 233-ე მუხლით, „მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის და მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მნიშვნელობას და ტყის წვლილის მნიშვნელობას მხარეთა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში.” ამ მუხლის მე-2 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან ინფორმაციის გაცვლაზე, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით.

ამ დოკუმენტში შედის დანართი ტყეზე, რომელშიც ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა განხილულია, როგორც საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების სამი გზიდან ერთ-ერთი.

საქართველო 2013 წლიდან აქტიურად ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული ტყის მდგრადი მართვის სტანდარტების დანერგვას, რომელიც გამოიხატება შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტებით:

## საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია

საქართველოს პარლამენტის N1742-Iს დადგენილებით (2013 წლის 11 დეკემბერს) დამტკიცდა „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია“, რის საფუძველზეც შეიქმნა პოლიტიკური საფუძვლები სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრის, აგრეთვე, სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობის, ადამიანების კეთილდღეობისა და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის. კონცეფციის მიზანია ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობასა და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.

ეროვნული სატყეო კონცეფცია წარმოადგენს პირველ პოლიტიკურ დოკუმენტს, რომელმაც საქართველოს სატყეო სივრცეში შემოიტანა ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განმარტება და მისი საკანონმდებლო სივრცეში ინტეგრირების აუცილებლობა. დოკუმენტით განსაზღვრული განმარტება სრულად ეფუძნება და თანხვედრაშია „ევროპის ტყეების“ დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ მიღებულ განმარტებასთან.

აღნიშნული კონცეფციის ძირითად პრინციპებად განისაზღვრა ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც აუცილებელია ტყის რაციონალური გამოყენების კუთხით. აღნიშნული პრინციპები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

### ▶ ტყის მდგრადი მართვის პრინციპი

ამ კონცეფციის უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპია ტყის მდგრადი მართვა “ევროპის ტყეების” დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყეები“) მიერ მიღებული განმარტების შესაბამისად.

### ▶ სიფრთხილის პრინციპი ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად

ტყის მართვის პროცესში ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ტყისა და მასთან დაკავშირებული ეკოსისტემების როლი, რადგან მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა გამოიწვიოს. ამისათვის გამოყენებული უნდა იყოს სიფრთხილის პრინციპი. ქვეყნის ყველა სექტორის სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყისგან ერთი სახის სარგებლის მიღებამ ტყის სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაცია არ გამოიწვიოს.

### ▶ „ყველა ტყე ადგილობრივია“

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუმცა ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, არაადგილობრივი. ამასთანავე, ადგილობრივი მცხოვრებნი ცალკე დაინტერესებულ მხარედ განიხილება. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულ მხარეებს პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისთვის შესაბამისი უფლებამოსილებები ჰქონდეთ.

▶ პოლიტიკის, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა

სატყეო მეურნეობის წარმართვის ობიექტური კონტროლისა და საუკეთესო პრაქტიკით ტყის ეკოსისტემების მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფო მართვის ფუნქციების შესაბამის უფლებამოსილ უწყებებს შორის გადანაწილება.

▶ სატყეო სექტორი, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილი

სატყეო სექტორი ეკონომიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც მასთან დაკავშირებული სხვა დარგების (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტურიზმი, მომსახურება და სხვა) განვითარებასაც უწყობს ხელს.

სამინისტრო კოორდინაციას უწევს ამ კონცეფციის სხვა დარგობრივ (სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და სხვა) სტრატეგიებთან ჰარმონიზაციის ღონისძიებებს. ამ შემთხვევაში მისი ფუნქციაა საქართველოს სახელმწიფო ტყის სხვა მიზნით (წიაღისეულის მოპოვება, გზების მშენებლობა ან სხვა ინფრასტრუქტურული განვითარება) გამოყენების პროცესის მართვა. თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის აუცილებელია სახელმწიფო ტყის არასატყეო მიზნით გამოყენება, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ზომები.

## საქართველოს ტყის კოდექსი

ეროვნული სატყეო კონცეფციის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი "ტყის კოდექსი" (28/05/2020), რომელმაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შემოიტანა საკუთრების ახალი ფორმები, როგორებიცაა: სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო. (კერძო საკუთრება არ გულისხმობს ტყის გაყიდვას ან/და სახელმწიფო ტყეების პრივატიზებას). ახალმა კოდექსმა ასევე, განსაზღვრა ტყის კატეგორიის მიხედვით დაყოფა: დაცული, დაცვითი, საკურორტო, სარეკრეაციო და სამეურნეო. ტყის კოდექსმა შემოიტანა ტყითსარგებლობის ახალი სახეებიც, როგორიცაა: ტყით საერთო სარგებლობა და ტყის სპეციალური სარგებლობა. ტყით საერთო სარგებლობა გულისხმობს ნებისმიერი პირის თავისუფლად გადაადგილებას ტყეში, პირადი მოხმარების მიზნით ტყის არამერქნული რესურსებისა და ფიჩხის შეგროვებას, ხოლო ტყით სპეციალური სარგებლობა გულისხმობს ტყის ეკონომიკური მიზნით გამოყენებას. ტყის ახალმა კოდექსმა შეცვალა ე.წ. სოციალური ჭრის მექანიზმი, რომელიც გარდამავალი პერიოდისთვის იქნება ამუშავებული და ქვეყანა გადავა მდგრად მეურნეობაზე, რასაც მართვის ორგანოები საქმიანი ეზოების მეშვეობით განახორციელებენ.

კოდექსის თანახმად, ტყის მდგრადი მართვის განმარტებისთვის მხედველობაში

იქნა მიღებული საერთაშორისო პროცესებში შეთანხმებული ასპექტები. კერძოდ, განმარტება განისაზღვრა, შემდეგნაირად:

ტყის მდგრადი მართვა არის ტყის ისეთი გზითა და მოცულობით მართვა და გამოყენება, რომ შენარჩუნდეს მისი ბიომრავალფეროვნება, პროდუქტიულობა, რეგენერაციის შესაძლებლობა, სიცოცხლისუნარიანობა და პოტენციალი, რომ ახლაც და მომავალშიც შესრულდეს ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე და არ დაზიანდეს სხვა ეკოსისტემები.

ასევე, კოდექსი აყალიბებს საქართველოს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება სართაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს.

კოდექსის თანახმად, საქართველოს ტყის მდგრადი მართვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით, უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- მართვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.
- ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რომ ტყის ერთი ფუნქციით სარგებლის მიღებამ არ გამოიწვიოს ტყის სხვა ფუნქციის დეგრადაცია.
- გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრად მართვას. ტყით საერთო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტყის ხელმისაწვდომობა ყველასთვის.
- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები, გარდა ამ კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა.

მიუხედავად პოლიტიკური დოკუმენტისა და საკანონმდებლო სივრცეში გაჩენილი არაერთი განმარტებისა და რეგულაციისა, ცნება „მდგრადობა“ მეტად კომპლექსურად და გარკვეული ინტერპრეტაციის საგნად მიიჩნევა და საჭიროებს დაზუსტებას, ამიტომაც მნიშვნელოვანია, მიღწეულ იქნეს საერთო გაგება იმისა, თუ რა იგულისხმება ტყის მდგრად მართვაში საქართველოს კონტექსტში.

შესაბამისად, ეროვნული სატყეო კონცეფციის, ტყის კოდექსისა და საერთაშორისო პროცესებში მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, საქართველოს კონტექსტში ტყის მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ მეტი სიცხადე და დეტალები შემუშავდა „საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“ დოკუმენტში.

## საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები

მდგრადი მართვის ანგარიშგებისთვის შემუშავდა საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები, რომელიც შემდგომში 2022 წლის 2 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ იქნა მიღებული:

საქართველოს ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **ეკოლოგიური პრინციპი** – აღწერს ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მართვის ელემენტებს.
- **ეკონომიკური პრინციპი** – აღწერს ტყის რესურსების სარგებლობით ქვეყნის შიგნით დამატებითი ღირებულებების შექმნის ჩარჩო პირობებს და საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში ტყის სექტორის წვლილს.
- **სოციალური პრინციპი** – აღწერს ტყის რესურსებზე წვდომის, ტყის სექტორში შემოსავლის წყაროების შექმნის, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველყოფის კრიტერიუმებს.
- **მრავალფუნქციურობის პრინციპი** – აღწერს პოლიტიკური, სტრატეგიული და მმართველობითი გადაწყვეტილებებისას ტყის ყველა ფუნქციის გათვალისწინების კრიტერიუმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ტყის რესურსებიდან ერთი სახის სარგებლის მიღებისას თავისი სხვა ფუნქციების შენარჩუნება.
- **გამჭვირვალობის პრინციპი** – აღწერს იმ კრიტერიუმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ტყესთან დაკავშირებული ნებისმიერი პოლიტიკური, სტრატეგიული და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისას ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით ტყეზე დამოკიდებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ინფორმირებულობა და ჩართულობა.

აღნიშნული ხუთი პრინციპი ქმნის ჩარჩოს ტყის სექტორში პოლიტიკური, სტრატეგიული და მართვის გადაწყვეტილებების მიღებისთვის. ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპები დეტალურად გაწერილია ეროვნული კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით, რომლებიც ქმნიან ჩარჩოს ტყის მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებისთვის, ტყის მართვის შედეგების მონიტორინგისა და მდგრადობის მიმართულებით განხორციელებული მიღწევის შეფასებისთვის. საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს სისტემატიზებული დოკუმენტების (მათ შორის, სივრცული ინფორმაციის) ერთობლიობას საქართველოს ტყის შესახებ და იძლევა პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების, ღონისძიებების სრულყოფილად დაგეგმვის, მონიტორინგის, პროცესების გამჭვირვალედ წარმართვისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საშუალებას, რაც ასევე გამოიყენება საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ანგარიშგებისათვის.

ტყე არის მნიშვნელოვანი ეკოსისტემა , რომელიც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში არსებით როლს ასრულებს. საქართველოში ტყის დაცვა და მდგრადი მართვა წარმოადგენს პრიორიტეტს, რადგან ის არა მარტო ეკოლოგიურ ფუნქციებს, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ მნიშვნელობასაც ატარებს. ტყის მდგრადი მართვა მოიცავს არა მხოლოდ ტყის რესურსების გამოყენების კონტროლს, არამედ ეკოსისტემის დინამიკისა და ხარისხის შენარჩუნებას.